

We had always looked on Tiflis as our depôt and base of operations during the summer months, and we were naturally anxious to ascertain what sort of quarters we should meet with, as the hotels in Russian towns are not always pleasant resting-places for those unaccustomed to the ways of the country. We were therefore delighted to find that our host and his wife were French, and that the house was fitted up in European style. The bedrooms were large and amply furnished, and the beds had good spring mattresses, instead of being (as usual in Russia) mere sofas with hard leathern cushions, and sheet spread over them. Moreover, the master of the hotel was also the head-cook, and many of our dinners would have done credit to a restaurateur of the Palais Royal; while Madame,<sup>1</sup> besides constantly attending to our comforts, was always ready to help us in our final struggle with some greedy Georgian or Armenian, whose wares had previously taken our fancy in the bazaars. (98-99)

ტფილისს ყოველთვის ზაფხულის თვეებში ჩვენს ბანაკად და სამოქმედო ბაზად განვიხილავდი და ბუნებრივია, იმის გაგება გვსურდა, როგორ უბანში მოვხვდებოდით, რადგან ქვეყნის ადათ-წესებს შეუჩვეველი ადამიანებისთვის რუსეთის ქალაქების სასტუმროები ყოველთვის არ არის დასასვენებლად სასიამოვნო ადგილები. ამიტომ გაგვიხარდა იმის გაგება, რომ ჩვენი მასპინძელი და მისი მეუღლე ფრანგები იყვნენ და სახლი ევროპულ სტილში იყო მოწყობილი. საძინებლები დიდი და ავეჯით კეთილმოწყობილი იყო, საწოლებზე კი კარგი ზამბარებიანი მატრასები იდო და ნაცვლად (როგორც ჩვეულებრივ რუსეთში – D. W. F.) ზეწარდაფარებული დივნებისა ტყავის მაგარი ბალიშებით. ამას გარდა, სასტუმროს პატრონი შეფ-მზარეულიც იყო და ჩვენი სადილების უმეტესობა Palais Royal-ის რესტორნის<sup>1</sup> პატრონსაც მიაგებდა პატივს; ხოლო ქალბატონი, გარდა იმისა, რომ მუდმივად ზრუნავდა ჩვენს კომფორტზე, მუდამ მზად იყო დაგვხმარებოდა ჩვენ საბოლოო ბრძოლაში რომელიმე ხარბ ქართველთან ან სომეხთან, რომელთა საქონელიც ბაზრებში მოგვეწონა.

\*\*\*

We were struck with the entire absence of any Turkish element in the crowd, and the consequent want of the bright fezzes which give such colour to the streets of many Eastern cities. Their place is poorly supplied by the tall cloth-caps of the Persians, or the conical sheepskins of the Georgian and Armenian merchants. On the whole, we did not see such variety of costumes here as at Kutais. In a town full of government offices the Russian uniform of course predominates, and the number of unhappy creatures doomed to walk the streets with a sword always dangling between their legs is very great. An occasional turbaned mountaineer from Daghestan, or a handsomely-accoutred Ossete, may of course be met, but here, as at home, the domestic servants are pre-eminent for gorgeous apparel. A Tiflis major-domo is got up regardless of expense; his belt and dagger-sheath are massively wrought in silver, and his cartridge-pouches and fur hat are of the most elegant and expensive kind. Such a costume costs from 251 to 401. Winter is the Tiflis season, and then, I am told, the variety of dresses is really marvellous. As it was, Georgian, Armenian, Persian, Russian, and German make up a fair list of nationalities, and a member of each would probably be met with in a five-minutes' stroll. (101-102)

ჩვენ გაგვაოცა, რომ ბრბოში საერთოდ არ იყო თურქული ელემენტი და, შესაბამისად, კაშკაშა ფესკები, რომლებიც ასეთ კოლორიტს ანიჭებენ აღმოსავლეთის მრავალი ქალაქის

<sup>1</sup> Douglas W. Freshfield, *Travels in the central Caucasus and Bashan*. London, Longmans, Green, & co., 98-99.

ქუჩებს. მათ ადგილს უღიმდამოდ იკავებენ სპარსელების მაღალი ქსოვილის ან ქართველი და სომეხი ვაჭრების კონუსისებრი კრაველის ქუდები. საერთო ჯამში, კოსტიუმების ისეთი მრავალფეროვნება როგორც ქუთაისშია, აქ არ გვინახავს. სახელმწიფო დაწესებულებებით სავსე ქალაქში, რა თქმა უნდა, რუსული მუნდირისა და უბედური არსებების რიცხვი ჭარბობს, რომლებიც ქუჩებში მუდამ ფეხებს შორის ჩამოკიდებული ძალიან დიდი მახვილით სასიარულოდ არიან განწირულები. ზოგჯერ, რა თქმა უნდა, შეიძლება დადესტიდნად ჩამოსული ჩალმიანი მთიელსა ან ლამაზად გამოწყობილი ოსის შეხვედრა, მაგრამ აქაც, როგორც სახლში, მსახურები უპირატესად მდიდრული სამოსით გამოირჩევიან. ტფილისელ მაჟორდომს<sup>2</sup> ხარჯის მიუხედავად რთავენ; მისი ქამარი და ხანჯლის ქარქაში მასიური ვერცხლისაა, ხოლო სავაზნეები და ბეწვის ქუდი ყველაზე ელეგანტური და საუკეთესო ხარისხისაა. ასეთი კოსტიუმი 251-დან 401-მდე ღირს. ზამთარი ტფილისის სეზონია და იმ დროს, როგორც ამბობენ, სამოსის მართლაც არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებაა. როგორც არ უნდა იყოს, ეროვნებების სიას მნიშვნელოვნად ქართველი, სომეხი, სპარსელი, რუსი და გერმანელი შეადგენენ და სეირნობისას თითოეულის წარმომადგენელს ალბათ, ყოველ ხუთ წუთში შეხვდები.

\*\*\*

We had brought with us several letters of introduction, explaining the object of our journey, to the officials attached to the Court at Tiflis, and we were disappointed to find that the Grand Duke had already left for Borjom, his summer residence, taking of course half Tiflis society with him. We were fortunate; however, in meeting Monsieur Barthelemi, Attaché for special missions to the Grand Ducal Court, who was living at the time in our hotel; and through his kindness, we were introduced to the Russian and German gentlemen then resident in Tiflis, who were best acquainted with the natural features of the country. We had the good fortune to catch Herr Abich, on the eve of his departure for Germany, from whom, in the course of a half-hour's conversation, I obtained two hints, which were both afterwards of the greatest service to us—namely, that there was a very lofty *névé*-plateau, at the northern base of the summit of Kazbek, and that Elbruz might be attacked, with good prospect of success, from the glaciers at the head of the Baksan valley. Herr Radde, chiefly known in England by his Siberian travels, although now settled in Tiflis, as curator of the Museum of Natural History, which has been lately founded, has not given up his roaming habits. He kindly presented us each with a copy of his work, 'Die drei Langhochthäler Imeritiens, Rion, Ingur, and Tskenis-Squali, the fruit of his wanderings in the southern Caucasian valleys. It is the first German book which has been printed at Tiflis. The museum has not been long formed, but the collection is already most interesting. (102-103)

ჩვენ თან გვქონდა რამდენიმე სარეკომენდაციო წერილი ტფილისის [მეფისნაცვლის] კარის მოხელეებისთვის, რომლებშიც ახსნილი იყო ჩვენი მოგზაურობის მიზანი და იმედი გავიცრუვდა, რადგან დიდი მთავარი<sup>3</sup> უკვე ბორჯომში, თავის საზაფხულო რეზიდენციაში გამგზავრებულიყო და ტფილისის საზოგადოების ნახევარი, რა თქმა უნდა, მას ახლდა. ჩვენ გავვიმართლა, რომ შევხვდით ბატონ ბართოლომეის<sup>4</sup>, დიდი მთავრის კარზე საგანგებო

<sup>2</sup> მაჟორდომი – ფროსი მსახური მდიდართა სახლებში.

<sup>3</sup> მიხეილ რომანოვი (1832-1909) – იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მეოთხე ვაჟი, კავკასიის მეფისნაცვალი 1862 წლის 6 თებერვლიდან 1881 წლის 23 ივლისამდე. მთავარსარდალი და სახელმწიფო მოღვაწე. გენერალ-ფელდციჰმეისტერი (1852), გენერალ-ფელდმარშალი (1878), სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1863-1881).

<sup>4</sup> ივანე ბართოლომეი (1813-1870) – რუსი გენერალ-ლეიტენანტი, არქეოლოგი და ნუმიზმატი, პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1856). 1850 წლიდან მსახურობდა ჩეჩნეთში, აფხაზეთსა და თბილისში. 1853 წელს დიპლომატიური დავალებით გაემგზავრა სვანეთში და მონაწილეობა მიიღო რუსეთთან მისი შეერთების

დავალემათა ატაშეს, რომელიც იმ დროს ჩვენს სასტუმროში ცხოვრობდა და მისი თავაზიანობის წყალობით ჩვენ გაგვაცნეს იმჟამად ტფილისში მცხოვრები რუსი და გერმანელი ბატონები, რომლებიც ყველაზე კარგად იცნობდნენ ქვეყნის ბუნებრივ თავისებურებებს. ჩვენ გავვიმართლა, რომ ბატონი აბიხი<sup>5</sup> გერმანიაში გამგზავრების წინა დღეს ვნახეთ; მასთან ნახევარსაათიანი საუბრის დროს მივიღე ორი მინიშნება, რომლებმაც შემდგომში უდიდესი სამსახური გავგიწია, კერძოდ კი ის, რომ ჩვენთვის, კერძოდ, რომ ყაზბეგის მწვერვალის ჩრდილოეთ ძირში არის ფირნის<sup>6</sup> ძალიან მაღალი პლატო და რომ იალბუზზე წარმატებით ასვლა შესაძლებელი იყო ბაქსანის ხეობის<sup>7</sup> ზედა ნაწილის მყინვარებიდან. ბატონი რადე<sup>8</sup>, რომელიც ინგლისში ძირითადად ციმბირში თავისი მოგზაურობით იყო ცნობილი, ახლა ტფილისში ცხოვრობს, სადაც ახლახან დაარსებული ბუნების ისტორიის მუზეუმის კურატორია, მაგრამ თავის მოხეტიალე ჩვევებზე უარი არ უთქვამს. მან ყოველ ჩვენგანს თავაზიანად გვაჩუქა თავისი ნაშრომის – „Die drei Langhochthäler Imeritiens, Rion, Ingur და Tskenis-Squali“ – ეგზემპლარი, რაც სამხრეთ კავკასიის ხეობებში მისი ხეტიალის ნაყოფია. ეს ტფილისში დაბეჭდილი პირველი გერმანული წიგნია. მუზეუმი ცოტა ხნის წინ შეიქმნა, მაგრამ კოლექცია უკვე ძალზე საინტერესოა. (102-103).

\*\*\*

One of the pleasantest of our Russian acquaintances at Tiflis was General Chodzko, under whose superintendence the Government Survey and the 'Five Verst Map of TransCaucasia have been executed. (103)

ტფილისში ჩვენი რუსი ნაცნობებიდან ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო გენერალი ხოდკო<sup>9</sup> იყო, რომლის ზედამხედველობით შესრულდა სამთავრობო კვლევა და „ამიერკავკასიის ხუთვერსიანი რუკა“. (103)

(ინგლისურიდან თარგმნა ი. ნაჭყებია)

---

საქმეში. შეაგროვა ქართული, ბაქტრიული, პართული და სასანური მონეტების მდიდარი კოლექცია, რომელიც შემდგომ ერმიტაჟს გადასცა.

<sup>5</sup> ოტო ვილჰელმ ჰერმან აბიხი (1806-1886) – გერმანელი გეოლოგი. კავკასიის ცნობილი მკვლევარი. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1853), საპატიო წევრი 1866 წლიდან.

<sup>6</sup> ფირნი (გერმ. Firm < ძვ. ზემო გერმ. firmi — შარშანდელი, ძველი) – მარცვლოვანი ყინული, რომელიც წარმოიშობა თოვლის გადაკრისტალებისა და მისი დნობით წარმოქმნილი წყლის თოვლის ფენებში ჩაყონვით და ჩაყინვით, წყლის ორთქლის გადაკრისტალებისა და სუბლიმაციის შედეგად. თოვლის ზედა ფენების სიმძიმით ფირნი თანდათან გარდაიქმნება ყინულად.

<sup>7</sup> ბაქსანის ხეობა მდებარეობს ყაზარდო-ბალყარეთში, მისი სახელწოდება დაკავშირებულია მდინარე ბაქსანთან, რომლის სატავე იალბუზზეა.

<sup>8</sup> გუსტავ ივანეს ძე რადე (1831-1903) – რუსეთში მოღვაწე გერმანელი ბუნებისმეტყველი, მოგზაური, გეოგრაფი, ნატურალისტი და ეთნოგრაფი. პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1866, 1870, 1879-1880 წლებში კავკასიაში მოინახულა აჭარა, ხევსურეთი, თუშეთი და ფშავი, მდინარეების – კოდორის, რიონის, ცხენისწყლისა და ენგურის – ხეობები, კოლხეთი და აფხაზეთი, მყინვარწვერი, ნახარის უღელტეხილი და მწვერვალი იალბუზის ვერდობები ზღვის დონიდან 1865 მ-მდე, არარატი და თალიში, მტკვრის ზემო წელი, მათ შორის დასახლებული პუნქტები არტაანი და ყარსი, არაქსი, ერევანი, სევანის ტბა და სხვ. რადე იყო კავკასიის მუზეუმისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი.

<sup>9</sup> იოსებ ხოდკო (1800-1881) – რუსეთში მოღვაწე, წარმოშობით პოლონელი გეოდეზისტი და კავკასიის ტრიანგულაციის ფუძემდებელი. არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი გეოდეზიის, ასტრონომიისა და ფიზიკური გეოგრაფიის დარგში.